ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4285539

ნომერი: AR1642188

თარიღი : 06.11.2018

გაცემის თარიღი : 30.11.2018

გაცნობის თარიღი : 03.12.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რკინიგზის ჩიხი , N 20 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , რკინიგზის ჩიხი , N 20 ; ქალაქი თბილისი , სამხედრო საწყობი (ჩიხი) , N 20 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ჩიხი რკინიგზის , ნაკვეთი 02/180 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 61 ; ქალაქი თბილისი , კახეთ. გზატ. სამხ. ჩიხი N20 ბ N10; ქალაქი თბილისი , რკინიგზის ჩიხი N20-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჟორჟოლიანი პ/ნ 01022014472
- ფეიქრების 14 გ

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3288068
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 29.05.2017

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2018 წლის 6 ნოემბრის NAR1642188 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ,,ქ. თბილისში, რკინიგზის ჩიხი, N20/ ქალაქი თბილისი, სამხედრო საწყობი (ჩიხი), N20/ ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი, ჩიხი რკინიგზის, ნაკვეთი N2/180/ ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი, N61/ ქალაქი თბილისი, კახეთ. გზატკ. სამხ. ჩიხი N20ბ N10-ში (ს/კ N01.19.21.002.379) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საწყობის რეკონსტრუქცია - IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური

ინსპექციის 2018 წლის 31 ოქტომბრის Nბ-19/01182181387-17 ბრძანებაში არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების დასაშვებობის წერილობითი დადასტურებას.

განგიმარტავთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ქ. თბილისში (გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთს უარი ეთქვა შენობა -ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით, ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითი ფორმით. განხორციელებული მშენებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია. დადასტურების წერილი მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია და უნდა დაერთოს ამ დადგენილებით განსაზღვრული სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს.“

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახური ადასტურებს ,,ქ. თბილისში, რკინიგზის ჩიხი, N20/ ქალაქი თბილისი, სამხედრო საწყობი (ჩიხი), N20/ ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი, ჩიხი რკინიგზის, ნაკვეთი N2/180/ ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი, N61/ ქალაქი თბილისი, კახეთ. გზატკ. სამხ. ჩიხი N20ბ N10-ში (ს/კ N01.19.21.002.379) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საწყობის რეკონსტრუქცია - IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 31 ოქტომბრის Nბ-19/01182181387-17 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებელობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით. წინამდებარე წერილობითი დადასტურება განიხილება პროექტის შეთანხმებასა დამშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 2017 წლის 29 მაისის N3288068 ბრძანებასთან ერთად, წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს და უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.